ცესკო
საქართველოს
საარჩევნო
ადმინისტრაცია

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული თანასწორობის პოლიტიკა

ცესკო
საქართველოს
საარჩევნო
ადმინისტრაცია

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული თანასწორობის პოლიტიკა

თბილისი, 2023

USAID
FROM THE AMERICAN PEOPLE

IFES

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკო) გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დოკუმენტი შემუშავებულია საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) პროექტის ფარგლებში, IFES-ის ექსპერტის რჩევებით, ამერიკელი ხალხის მხარდაჭერით ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით; მის შინაარსზე პასუხისმგებელია ავტორი/ავტორები და იგი შესაძლოა არ ასახავდეს საარჩევნო სისტემათა საერთაშორისო ფონდის (IFES), USAID-ის ან ამერიკის მთავრობის მოსაზრებებს.

სარჩევი

შესავალი	4
საარჩევნო ადმინისტრაციის ხედვა და სამოქმედო პრინციპები	7
გენდერული თანასწორობის საბჭო	8
პოლიტიკის განხორციელება	11
მონიტორინგი, შეფასება, ანგარიშგება	12

შესავალი

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია არის დამოუკიდებელი ინსტიტუცია, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს – მერის არჩევნების, რეფერენდუმისა და პლებისციტის მომზადებასა და ჩატარებას, აგრეთვე, დემოკრატიული საარჩევნო პროცესების განვითარებასა და განმტკიცებას, სადაც დაცული და გარანტირებულია აქტიური და პასიური საარჩევნო უფლების თავისუფალი და შეუზღუდავი გამოყენება.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია აცნობიერებს საქართველოს კონსტიტუციით დეკლარირებულ პრინციპს არსებითი თანასწორობის შესახებ და აცხადებს, რომ საქართველოს დემოკრატიის, მშვიდობის, უსაფრთხოებისა და მისი გრძელვადიანი განვითარებისთვის მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებებზე, მათ შორის, გენდერულ თანასწორობაზე დაფუძნებული მიდგომის დამკვიდრება. ბოლო წლებში საქართველოში ჩატარებული კვლევები ადასტურებს, რომ პოლიტიკაში გენდერული თანასწორობის ზრდა საზოგადოების დაკვეთაა. კვლევების მიხედვით, ამომრჩევლის უმრავლესობა პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის გაზრდას[1] ემხრობა.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციაში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელების ხელშეწყობაზე პასუხისმგებელია გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საბჭო (საბჭო).

წინამდებარე დოკუმენტი არის საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის რიგით მეორე დოკუმენტი (პოლიტიკის დოკუმენტი). ის ეფუძნება გენდერული თანასწორობის პოლიტიკის პირველ დოკუმენტს, 2022 წელს მისი შესრულების პროგრესის შეფასებას და განსაზღვრავს საარჩევნო ადმინისტრაციის

1. სავალდებულო გენდერული კვოტა საქართველოში, კვლევა ხელმისაწვდომია შემდეგ ბმულზე: https://www.undp.org/ka/georgia/publications/electoral-gender-quotas

გენდერული თანასწორობის საბჭოს სახელმძღვანელო პრინციპებსა და მიზნებს. პოლიტიკის დოკუმენტის განხორციელებამ ხელი უნდა შეუწყოს საარჩევნო ადმინისტრაციაში გენდერულ თანასწორობასა და პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის გაძლიერებას:

- **ინსტიტუციური თვალსაზრისით:** საარჩევნო კომისიების წევრებსა და საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეებს შორის თანასწორობის მექანიზმების განმტკიცებით;
- **საარჩევნო პროცესში:** ამომრჩევლებსა და კანდიდატებში შესაძლებლობათა თანასწორობის უზრუნველყოფით, მათ შორის, ცნობიერების ამაღლებით.

პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების დროს საბჭო დაეყრდნო საქართველოს კანონმდებლობასა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ინსტრუმენტებს, მათ შორის:

1. საქართველოს კონსტიტუცია;
2. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“;
3. საქართველოს ორგანული კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ“;
4. საქართველოს კანონი „გენდერული თანასწორობის შესახებ“;
5. გენდერული თანასწორობის საბჭოს დებულება;
6. საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია (2022–2030);
7. საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფცია;
8. ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია;
9. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია; რომი, 1950 წლის 4 ნოემბერი;
10. ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი;
11. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ;

12. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია (CEDAW), მისი დამატებითი ოქმები და ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის ზოგადი რეკომენდაციები;
13. მოსახლეობის და განვითარების კაიროს კონფერენციის სამოქმედო პროგრამა;
14. პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა;
15. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1325;
16. ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია;
17. მდგრადი განვითარების მიზნები 2030, კერძოდ, მე-5 და მე-16 მიზნები – გენდერული თანასწორობა (მიზანი 5) და ძლიერი ინსტიტუციები (მიზანი 16).

გარდა აღნიშნული დოკუმენტებისა, პოლიტიკის დოკუმენტს საფუძვლად უდევს საარჩევნო ადმინისტრაციის შესაბამისი სამართლებრივი აქტები.

საარჩევნო ადმინისტრაციის მისიის განსახორციელებლად 2023 წლის 6 თებერვალს ცესკომ დაამტკიცა საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის 2023-2026 წლების სტრატეგიული გეგმა.[2] სტრატეგიული გეგმის საფუძველზე შემუშავდა და დამტკიცდა სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავს აქტივობებს სტრატეგიული ამოცანების შესასრულებლად და მიზნების მისაღწევად. სტრატეგიული გეგმის შემუშავების დროს საარჩევნო ადმინისტრაციამ გამოიყენა ახალი მიდგომა და სამოქმედო პრინციპად განიხილავს ყველასთვის თანაბარი, ინკლუზიური საარჩევნო გარემოს ხელშეწყობას, რაც მათ შორის, გულისხმობს გენდერული თანასწორობის საკითხების ყველა აქტივობაში შესაძლებლობის ფარგლებში გათვალისწინებას.

გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დოკუმენტი, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა შეესაბამება და ავსებს საარჩევნო ადმინისტრაციის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებს გენდერული თანასწორობის მიმართულებით.

2. ცესკო 2023 წლის 6 თებერვლის N9/2023 განკარგულება.

საარჩევნო ადმინისტრაციის ხედვა და სამოქმედო პრინციპები

საარჩევნო ადმინისტრაციის ხედვაა – თავისუფალი, გამჭვირვალე და სამართლიანი არჩევნების ჩატარება, რომელსაც ენდობიან საქართველოს მოქალაქეები. ეს მათ შორის, გულისხმობს ქალებისა და კაცებისთვის, როგორც ამომრჩევლების, საარჩევნო კომისიების წევრებისა და საარჩევნო მოხელეების, პოლიტიკური გაერთიანებების, სამოქალაქო საზოგადოების წევრებისა და კანდიდატების საარჩევნო პროცესში მონაწილეობის თანაბარი პირობების უზრუნველყოფას.

საარჩევნო ადმინისტრაცია აღიარებს გენდერული თანასწორობის პრინციპებს. პოლიტიკურ საქმიანობაში ქალთა მონაწილეობისა და გადაწყვეტილების მიმღებ თანამდებობებზე მათი წარმომადგენლობის გაზრდა გენდერული თანასწორობის მიღწევისთვის არსებითად მნიშვნელოვანია, რადგან სწორედ სამართლიანი წარმომადგენლობა და გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკა, მათ შორის, კანონშემოქმედებითი პროცესი, ქმნის არსებითი გენდერული თანასწორობის საფუძველს. საარჩევნო ადმინისტრაცია აღიარებს:

- **ქალთა და კაცთა თანასწორობას** – ადამიანის ფუნდამენტური უფლება უზრუნველყოფილი და დაცულია საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლით, საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“, საქართველოს კანონით „გენდერული თანასწორობის შესახებ“ და საქართველოს მიერ ხელმოწერილი და რატიფიცირებული ძირითადი საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, მათ შორის, „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით“, „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტითა“ და კონვენციით „ქალთა მიმართ ყველა ფორმის დისკ-რიმინაციის აღმოფხვრის შესახებ“. არჩევნებსა და სხვა დემოკრატიულ პროცესებში

- თანასწორობის საფუძვლებზე მონაწილეობისთვის მნიშვნელოვანია ქალებისა და კაცების თანაბარი წარმომადგენლობა წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებში, გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციებზე, რაც უზრუნველყოფს მათ თანაბარ წვდომას საჭირო რესურსებზე.
- **ქალთა და კაცთა თანაბარი მონაწილეობის არსს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში** – ეს პრინციპი მნიშვნელოვანი წინაპირობაა თავისუფალი, სამართლიანი და გამჭვირვალე არჩევნების ჩასატარებლად, საქართველოში დემოკრატიული საზოგადოების განვითარების ხელშესაწყობად. საარჩევნო ადმინისტრაცია თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს ყველა სახის პოლიტიკის დოკუმენტსა და საქმიანობაში გენდერული ასპექტების გათვალისწინებას.

გენდერული თანასწორობის საბჭო

2011 წელს ცესკომ დააარსა გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი კომისია, დღეს მოქმედი გენდერული თანასწორობის საბჭო (საბჭო), რომელიც ცესკოს თავმჯდომარის ბრძანების საფუძველზე იქმნება და მისი მანდატია საარჩევნო ადმინისტრაციის სტრატეგიული გეგმის შესაბამისად გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა.

საბჭო თავისი საქმის განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს კანონით „გენდერული თანასწორობის შესახებ", სხვა ნორმატიული აქტებითა და ცესკოს თავმჯდომარის ბრძანებით დამტკიცებული დებულებით.

საბჭო შედგება ცესკოს წევრების, საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, ცესკოს აპარატის შესაბამისი დეპარტამენტების წარმომადგენლებისგან, ასევე სწავლების ცენტრის დირექტორისგან, აჭარის უმაღლესი საარჩევნო კომისიის (უსკოს) თავმჯდომარისგან და საბჭოს მდივნისაგან, სულ 12 წევრი. საბჭოს ფუნქციებია:

1. საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული პოლიტიკის შესახებ წინადადებების ჩამოყალიბება და ცესკოსთვის განსახილველად წარდგენა;
2. გენდერულ საკითხებზე მომუშავე საქართველოს პარლამენტისა და მთავრობის შესაბამის სტრუქტურებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, ასევე, სხვა ქვეყნების საარჩევნო ადმინისტრაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა, გამოცდილების გაზიარებისა და საარჩევნო ადმინისტრაციაში გენდერული პოლიტიკის გატარების უზრუნველსაყოფად რეკომენდაციების შემუშავების მიზნით.

საბჭოს სარეკომენდაციო ხასიათის გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრთა უმრავლესობით. საარჩევნო ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, ადმინისტრაციის გენდერული თანასწორობის პოლიტიკის დანერგვასა და შესრულებაზე მონიტორინგს ახორციელებს გენდერული თანასწორობის საბჭო. საბჭო ფუნქციონირებს შემდეგი მახასიათებლების გათვალისწინებით:

საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული თანასწორობის საბჭოს სტრატეგიული მიზანი და ამოცანები:

საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული თანასწორობის სტრატეგიის მიზანია – არსებითი გენდერული თანასწორობის დაცვისთვის, საარჩევნო ადმინისტრაციის მანდატისა და კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოს საარჩევნო პროცესში თანაბარი შესაძლებლობებისა და ფაქტობრივი თანასწორობის დაცვა, სისტემური და ინსტიტუციური მექანიზმების გაუმჯობესება და ქალთა გაძლიერება. დასახული მიზნის მისაღწევად საჭიროა სტრატეგიის შემდეგი ამოცანების გადაჭრა:

სტრატეგიის ამოცანა 1: საარჩევნო ადმინისტრაციის სისტემური და ინსტიტუციური მექანიზმების მდგრადი განვითარება და შესაძლებლობების გაძლიერება გენდერული უთანასწორობის პრევენციისა და სამუშაო ადგილებზე ქალთა გაძლიერებისათვის
სამუშაო ადგილებზე ქალთა გაძლიერებისთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებს ორგანიზაციული პოლიტიკა, ინსტიტუციური მექანიზმები და არსებული პრაქტიკა. შესაბამისად, საარჩევნო ადმინისტრაცია ზრუნავს ფაქტობრივ თანასწორობაზე, კერძოდ, გენდერული თანასწორობის საბჭოს აქვს წესდება, სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, უზრუნველყოფილია ორგანიზაციული სისტემით, აქვს გაწერილი ორგანიზაციული პროცედურები და პროცესები; ასევე, საკადრო პოლიტიკა ხორციელდება გენდერული ასპექტების გათვალისწინებით საარჩევნო ადმინისტრაციაში.

სტრატეგიის ამოცანა 2: საარჩევნო პროცესში თანაბარი შესაძლებლობებისა და ფაქტობრივი თანასწორობის უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით, ცნობიერების ამაღლება და ინფორმირება
საარჩევნო პროცესში თანაბარი შესაძლებლობების ხელშეწყობისთვის, საარჩევნო ადმინისტრაცია საქმიანობის განხორციელებისას უზრუნველყოფს თანასწორობის პრინციპების დაცვას. საარჩევნო ადმინისტრაცია, საქმიანობისა და პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელებისას, მათ შორის, საარჩევნო საკითხებზე ცნობიერების ამაღლების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების ფარგლებში უზრუნველყოფს გენდერულ მეინსტრიმინგს. ასევე, ხდება თანამშრომელთა გენდერული მგრძნობელობის გაზრდა, ცნობიერების ამაღლება და ინფორმირება გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით.

პოლიტიკის განხორციელება

საარჩევნო ადმინისტრაცია საქმიანობის დაგეგმვას, ანგარიშგებასა და მონიტორინგს ახორციელებს დამტკიცებული წესის საფუძველზე. წესის მიხედვით, საარჩევნო ადმინისტრაციის სტრატეგიული გეგმის განხორციელების ინსტრუმენტია ყოველწლიური სამოქმედო გეგმა. გენდერული თანასწორობის საბჭო ყოველწლიურად განსაზღვრავს გენდერული თანასწორობის მიმართულებით განსახორციელებელ აქტივობებს და შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. საარჩევნო ადმინისტრაციის სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს, საბჭო უზრუნველყოფს განსაზღვრული საქმიანობების გეგმაში ასახვას, შესაბამისი ვადების დადგენას, შესრულების ინდიკატორების შემუშავებასა და პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების განსაზღვრას. საბჭო ახორციელებს გენდერული თანასწორობის კუთხით დაგეგმილი საქმიანობების შესრულების პროცესის ზედამხედველობას.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები იმგვარად არის შედგენილი, რომ აქტივობების შესრულება განაპირობებს ამოცანების შესრულებას, ხოლო ამოცანების შესრულება უზრუნველყოფს მიზნების მიღწევას. აღნიშნული თანხვედრაშია გენდერული თანასწორობის პოლიტიკის, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულებასთან.

სამოქმედო გეგმით შესასრულებელი აქტივობები, მათ შორის გენდერული თანასწორობის მიმართულებით, ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით, ასევე, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების შესაძლო ფინანსური მხარდაჭერით.

მონიტორინგი, შეფასება, ანგარიშგება

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულებისა და შეფასებისთვის საარჩევნო ადმინისტრაციის საქმიანობის დაგეგმვის, ანგარიშგებისა და მონიტორინგის წესი განსაზღვრავს შესაბამის პროცედურას.

ცესკოს სტრუქტურული ერთეულები, სწავლების ცენტრი, ასევე გენდერული თანასწორობის საბჭო ცესკოს თავმჯდომარეს კვარტლის დასრულებისთანავე წარუდგენს სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობებისა და სხვა მნიშვნელოვანი საქმიანობების შესახებ შესრულების სტატუსანგარიშს, შესაბამისი ინდიკატორების შესრულების მითითებით.

მონიტორინგის პროცესი ითვალისწინებს ცესკოს სტრატეგიული დაგეგმვისა და ანგარიშგების დეპარტამენტის მიერ ცესკოს სტრუქტურული ერთეულებისა და სწავლების ცენტრის კვარტალური სტატუსანგარიშების კონსოლიდაციას და ცესკოს წევრებისთვის წარდგენას. ასევე, წლიური ანგარიშის მომზადებას სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობებისა და ამოცანების შედეგის ინდიკატორების შესრულების შესახებ.

სტრატეგიული გეგმის შეფასება განხორციელდება მიზნებისა და გავლენის ინდიკატორების, ასევე, ამოცანებისა და შედეგის ინდიკატორების დონეზე.

სტრატეგია გათვლილია ოთხ წელზე და დაგეგმილია ერთი შუალედური შეფასება 2025 წელს, ხოლო საბოლოო შეფასება განხორციელდება 2026 წელს. სტრატეგიული გეგმის საბოლოო შეფასების მიზანია მიღწეული შედეგების გაზომვა და შემდგომი წლების სტრატეგიული გეგმის შემუშავებისთვის საფუძვლის მომზადება.

შედეგების ანალიზი და ცვლილებების კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს ყველა დაინტერესებულ/პროცესში ჩართულ მხარესთან შეთანხმებით.

პოლიტიკის დოკუმენტის გადახედვა უნდა მოხდეს საჭიროებისამებრ, ხოლო სამოქმედო გეგმა შემუშავდება ყოველწლიურად, საარჩევნო ადმინისტრაციის სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

საარჩევნო ადმინისტრაციის გენდერული თანასწორობის საბჭო ცესკოს თავმჯდომარეს პერიოდულად წარუდგენს ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ. ანგარიშის წარდგენის პერიოდულობას განსაზღვრავს საბჭო. ინფორმაცია უნდა აისახოს საარჩევნო ადმინისტრაციის შესაბამის ანგარიშებში.

2026 წელს, აღნიშნული პოლიტიკის დოკუმენტის, სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების მოქმედების დასრულების შემდეგ, საარჩევნო ადმინისტრაცია გახდება რეგიონში ერთ-ერთი მოწინავე ინსტიტუცია, რომელიც ხელს შეუწყობს გენდერული თანასწორობის განმტკიცებას საარჩევნო პროცესში.